№ 271 დეკემბერი 20, ოთხშაბათი 1889 დეკემბერი 20, ოთხშაბათი № 271


| გაზეთი ღირს | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, აჭშალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889


## „ივერია"

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.



გამოვიდა და ისყიდება

## საქართველოს კალენდარი

1890 წლისათვის,

შედგენილი და გამოცემული ვალ. გუნიას მიერ.

ფასი ათი შაური

ვინც ნაღდ ფულად იყიდის 50 ცალს, იმას დაეთმობა მანეთზე ხუთი შაური.

შეიძლება მიჰმართონ «წერა-კითხვის საზოგადოებას» და ტერ-სარქისოვის მაღაზიას, სასახლის ქუჩაზე, ლალაევის სახლში.


ტფილისი, 19 დეკემბერი

სპარსეთსაო, ამბობს ერთი კორრესპონდენტი რუსეთის გაზეთისა, ჩვენში ისე უყურებენ, ვითომც იმოდენად უღონო და უძლური იყოს, რომ საკმაოა კაცმა-კი მოინდომოს და 24 საათში მიწასთან გაასწოროს. ჩვენა გვგონიაო, რომ სპარსეთი ყოველის უარის უთქმელად ჩვენს ნებაზედ ივლის, თუ რომ ზოგიერთი ბოროტი მანქანები და ინგლისის ფულები იქ ჩვენ ხელს არ გვიშლიდეს და საქმეს არ გვიფუჭებდესო. კორრესპონდენტის აზრით, ყოველივე ეს შეცდომაა ჩვენის მხრითაო, იმიტომ-რომ სპარსეთიც, სხვათაებრ, დღეს იღვიძებს და სცდილობს თავის თავი იმდენად გამოაკეთოს, რომ საკუთარს ფეხზედ დაჰდგეს და საკუთარის ავ-კარგიანობით გაძლიერდესო.

კორრესპონდენტისავე სიტყვით, დღევანდელი სპარსეთი ის სპარსეთი არ არის, რაც აქამომდე იყო. დღეს სპარსეთში იქაური სასულიერო წოდება, რომელიც აქამომდე მარტო გუნდრუკს უკმევდა ყველაფერს სპარსულს და უკადრისად იხსენიებდა სხვას ყოველს, რაც სპარსული არ იყო, ცოტად თითონაც გამოფხიზლდა და დაინახა, რომ თუმცა ევროპა ურჯულო ქვეყანაა, მაგრამ იქ ბევრი იმისთანა წესი და რიგია, რომელსაც კაცმა ცხვირის მაღლა აწევით გვერდს არ უნდა გაუაროს, პირიქით, უნდა დინჯის თვალით დაუკვირდეს და აწონ-დაწონვით მოსჩხრიკოს — რა არის იქიდამ კარგი მისაღები და შემოსატანი და რა არის უარ-საყოფელი და განსადევნი. ეს, რასაკვირველია, თითო-ოროლა კაცს სასულიერო წოდებისას მიეწერება და არა ბევრს მათგანს, მაგრამ ამ თითო-ოროლას არსებობა სპარსეთში „დროთა ნიშნად" უნდა ჩაითვალოს, რადგანაც იარა სპარსეთისა ამ სასულიერო წოდების გაუტეხლობა და კერპობა იყო დღეს აქამომდე. ამ წოდებას იქამდე შეეხუთნა იქაურობა, იქამდე გაებაწრა, რომ თითონ შაჰიც, რომელიც ჩვენ ყოვლად შემძლებელი გვგონია სპარსეთში, ეკრძალებოდა, უფრთხოდა თურმე ამ სასულიერო წოდებას ასე, რომ მინამ გაჰბედავდა რასმე, ჯერ ამ წოდებისათვის უნდა ანგარიში გაეწია და მისი ნება-რთვა თუ არა, მისი უარი მაინც არა ჰქონოდა. ეხლა, რაკი თითონ ამ წოდებაში უგრძვნიათ, რომ უწინდელი ყოფა სპარსეთისა თავს არ დაიჭერსო, აშკარაა კედელი გაუტეხელობისა და კერპობისა უკვე გარღვეულა და ახალის შემოსვლისათვის გზა ცოტად თუ ბევრად გახსნილა სპარსეთში.

კორრესპონდენტი ამბობს, რომ სპარსელებ შორის ეხლა ბევრს იმისთანას ჰნახავთ, რომელნიც ყოფილან ევროპაში არამც თუ მარტო სავაჭროდ და საქონლის მოსატანად, არამედ გასანათლებლად და სასწავლებლადაო. ბევრია თურმე იმისთანა ახალგაზდა კაცი, რომ ევროპაში მაღალ სასწავლებელში სადმე ესწავლოს, სწავლა შეესრულებინოს და დღეს სპარსეთში ჰმოქმედებდეს მის გამოსაღვიძებლად და გამოსაკეთებლად. ამათი მამულიშვილობა, ამათი სიყვარული თავისის ქვეყნისა უფრო წინ-დახედულია, უფრო ცნობიერებით და გაგებით მოსილია, ვიდრე ძველის აღთქმის კაცებისაო. ესენი აღარ იქადიან, რომ სპარსეთი მარგალიტია სავსებისა და სისრულისა, ტყუილად თავს არ იწონებენ, რომ ამათზე უკეთესი, ბედნიერი და შემძლებელი ერი და ქვეყანა სხვა არსად იყოს დედამიწის ზურგზედა. პირ-იქით, ბევრს ნაკლსა ჰხედვენ და ქვეყნის სიყვარულით აღფრთოვანებულნი იძახიან: თანდათან და ნელ-ნელა სპარსეთი დაეწევა ევროპას, როგორც რუსეთი დაეწიაო. ზოგნი, თავის ქვეყნისავე სიყვარულით გაფიცხებულნი, იქამდინაც-კი მიდიან, რომ ამტკიცებენ, დაგვაცალეთ ერთი, ზოგიერთი ხარიხები, რომელიც სვლას გვიშლიან და გვაბრკოლებენ, თავიდამ მოვიშოროთ და მაშინ ჰნახავთო, რომ სპარსეთიც საპატიო ადგილს დაიჭერს სხვათა განათლებულთა ერთა შორისო.

დღეს საზღვარ-გარედ იბეჭდება თურმე ბროშიურები სპარსულად და ამ ბროშიურებში სულ იმას ჰქადაკობენ თუ—როგორ და რა გზით უნდა გამოკეთდეს დღევანდელი უკმარი ყოფა-ცხოვრება სპარსეთისა. ზოგი ამბობს, რომ საერო სწავლა-განათლება უნდა გაძლიერდესო, ზოგი იძახის,— კანონებს გადასინჯვა უნდა, ამ სფერაში საჭიროა შესაფერი რეფორმებიო და ზოგი სცდილობს სახსარი რამ იპოვოს სამშობლო ქვეყნის მრეწველობის გასაძლიერებლად და ეკონომიურ შეძლების ასაყვავებლად. სიტყვით, საქმით, თუ წერით ევროპაში განათლებულნი ყმაწვილნი კაცნი სპარსეთისანი იღვწვიან შინა და გარედ, რომ გამოაფხიზლონ აწ მთვლემარე სამშობლო ქვეყანა და ფეხზედ წამოაყენონ საკეთილდღეო მოქმედებისათვის. ამათმა ღვაწლმა ამაოდ არ ჩაიარა, როგორც გვარწმუნებს ხსენებული კორრესპონდენტი. საზოგადოებაში ფეხი შესდგა ამათმა მოძღვრებამ და იმდენად იმოქმედა, რომ ძველის წესის გაუტეხელნი და შეუპოვარნი კაცნიც-კი ცოტად თუ ბევრად მოარჯულა და მოინადირაო. ამაების ზედმოქმედების გამო თითონ სახელმწიფო საქმეთა ძველნი კაცნი, კერპად ურჩნი და მოძულენი ყოველ იმისა, რაც-კი სპარსული არ არის, დღეს

## ფელეტონი

### ხახმატის ჯვარობა

ხევსურეთში.

მშვენიერი სურათი წარმოგიდგებათ თვალ-წინ იმ მიდამოს დანახვით, სადაც ხახმატის ჯვარია გაშენებული. მშვენიერი მაღალი ხეები, მდინარე, მჟავე წყალი, რომელიც ძრიელ ჰგავს ზელტერის წყალს, და პატარა მინდორი, სადაც მლოცავები დღეობის დროს სადილობენ შუშპრობენ[1]) ფანდურზედ, კეჭნაობენ[2]) დაშნებით[3]), შულდობენ[4]) ნახერხალათი[5]) და აჯირითებენ ულაყებს[6]), ატრიალებენ ფარებს, ამბობენ ხევსურულ სიმღერას, რომელსაც ბანს აძლევს უზარმაზარი გარ-შემორტყმული მთები. ერთ ამ მთის ძირში ამართულია ხახმატის, ანუ კოპალა ათენგის ჯვარი. რა არის ათენგის ჯვარი?

კიდობნის მსგავსი ქვის ყორე, რომელსაც ორი არშინი სიმაღლე აქვს და არშინ-ნახევარი სიგრძე-სიგანე. ყორეს კუთხეებში აყვანილია ოთხი სვეტი; ბოძებს სახურავად თხელი კლდე აძევს, კლდეზედ დალაგებულია სიპი ქვა, ქართულის წოწოლა ქუდის მსგავსად.

მთელი ეს შენობა ძლიერ წააგავს ეკკლესიის ქვითკირის სამრეკლოს, რომლის საყვავეში ჩამოკიდებულია კოპალას ზარი. ამ შენობას ზემოდგან გადმოსცქერის ყვითელ ხავს-მოკიდებული კოშკი, სადაც შიშიანობის დროს ხევსურები იმალებოდნენ და ინახავდნენ ხატის ოქრო-ვერცხლეულობას. ხევსურების აზრით, კოპალა ათენგისა უხილავად იმყოფება ამ შენობასა და იმის არე-მარეში. აქვე შენიშნავთ ქვის სახლს, რომელიც აჭრელებულია ირმისა, ჯიხვისა და ჯეირნის რქებით... სახლში სულ ორი ოთახია: ერთში ჩამწკრივებულია ლუდის სადუღი სპილენძის ქვევრები. ამ ოთახს ხატის სალუდეს ეძახიან; მეორეში გაკეთებულია ხის სუფრა, სადაც სადილობენ დეკანოზი[7]), ხევის-ბერები[8]) და დასტურები[9]), სალუდის მახლობლად, „ქრისტიანობის გამავრცელებელის საზოგადოების" ხარჯით, ხევსურებს აუშენდათ მშვენიერი ეკკლესია, მაგრამ სრულიად ამაოდ; ხევსური ეკკლესიაში არ შედის. როდესაც სკოლების ინსპექტორმა მამა ლეონიდმა ჰკითხა ხახმატის ეკკლესიის მახლობლად შეყრილ ხევსურებს: „რატომ ეკკლესიის ეზოში არ შემოხვალთო?" აი რა უპასუხა ხალხმა: „ხატი არ ყაბულობს, დაგვემიზეზებისავ".

ხანგრძლივის ქადაგების შემდეგ ხალხი ეკკლესიის ეზოში შემოვიდა და ერთმა ნახევის-ბერალმა წამოიძახა: „მამაო! ჩვენი სული ეშმაკისთვის მიგვიცემავ. აგეთ საუბარ ეხლა გვეყურების".

მოატანა ათენგობამ. დეკანოზი მოკრძალებით ემზადება კოპალას დღისთვის. ერთი თთვეა სახლი დააწმინდავა. დიაცის[10]) დანახვას ერიდება. სცდილობს არავის აწყენინოს. გათენდა ათენგობაც და თუშ-ფშავ-ხევსური მოეფინა გამწვანებულს მთა-მინდორს; ხატის მინდორი ხალხით გაივსო. მოუთმენლად მოელიან დეკანოზსა და ხევის-ბერებს. ჩვეულებისამებრ დეკანოზი და ხევის-ბერები ებანნენ მდინარეში; ჩაიცვეს ფეხებზედ თათები[11]), ტანზედ სუფთა ტანისამოსი და გამოსწიეს სალუდისაკენ; დეკანოზს გამოეგებნენ დასტურები და მიიწვიეს ლუდის საკურთხევლად. აქვე შენიშნავთ მღვდელსა და დიაკვანს ატუზულებს, რომლებსაც ხევსურები არაფერს ყურადღებას არ ათხოვებენ. ხალხმა, სალუდის მახლობლად, მოიყარა თავი და ქუდ-მოხდილები მოელიან დეკანოზის გამობძანებას.

ხალხში დედაკაცს ვერ დაინახავთ. ხევსურების აზრით, დედაკაცი უწმინდურია; არ არის ღირსი წმინდან ადგილზედ ფეხი დაადგას; კოპალასაც ეჯავრება დედაკაცები, შორი-ახლოს არ გაიტარებს, არ ყაბულობს; თუ დედაკაცი ახლოს მიეკარა, მაშინვე დაჰმიზეზავს მთლად იმ ჯალაბობას, რომელ ოჯახისაც არის ის დედაკაცი. დეკანოზმა აკურთხა ლუდი; აიღო ხელში დროშა[12]) შედგა მაღლობ ადგილზედ, გაიჭიმა წელში, გადიტრიალა ზეცისკენ თვალები, და დაიწყო, სახარების კილოზედ, გაჭიანურებული და მოსაწყენის ხმით, შემდეგი ლოცვა:

„დიიდეებაა ღმერთსა, მადლი ღმერთსა. დიდება დღეს დღეინდელსა. რჯული ქრისტიანსა. დიდება მზესა, იმის მყოლს ანგელოზსა, შენად სამთავროდ, შენად გასამჯავროდ, ძალო ღთისაო, ძალო წმინდა გიორგი კოპალესაო! შენ გეძახიან, გეხვეწებიან, შენ ნუ მოუწყენ და ნუ მაიძულებ ქრისტიან ხალხსა, შენსა მლოცავსა. დიდება შენდა, გმირო კოპალევ. შენ გეძახიან და გეწვეიან ეს სამსახურის პატრონები, ქუდოსან-მანდილოსანი.

— დაეხმარიდი ავის დღისად, ლალის მტრისად, მწარის სიკვდილისად; წული ვის ყავდეს გაუზარდეო; არა ყავდეს—და თუ ვინმე გეხვეწებოდეს, ღმერთსა და კვირიეს გამოუთხოვეო. სნეულ ვის ყვანდეს—ულხინეო და ლხენის წამალი დაუყარეო; მაცილი დააშორეო, დაფარეო. ველთ ვინ გაეიდოდეს სახლიდგანაო: მეველე, მონადირე—გაჰყვით გაუმარჯვეო. მტერზედ სახელი მიეცითავ; ნადირზედ— ვახშამიო. მაგათად შამოქცეულსა ლაღ მტერსაო და მწარე სიკვდილსაო გზა უკუღმა უქციეთავ. წმინდაო გმირო კოპალავ! მაცილის საქმე ელირებოდეთ მთასად და ბარსა, მაცილს დააშორიდი; თუ სხვები ანგელოზები უჩიოდნენ, მადლი დაუთხოვე, ანგელოზებს სამსახური აართვი და ღთის კარზედ საქრთამოდ შაართვი. სხვანი ღთის შვილნი თუ რას უწყრებოდნენ, მადლი ხოეშანი დაუთხოვე; თითონ პირ-წალმივ და გულ-წალმივ დაუბრუნდი, უშველიდი; სახელიან სამსახურ

1) შუშპრობენ—თამაშობენ.
2) დაკეჭვნა—სუბუქად დაჭრა.
3) დაშნა—ხმალი.
4) შულდი—ჩხუბი.
5) ნახერხალა—საცერულია, რომელსაც ხერხის მსგავსი კბილები აქვს.
6) ულაყი—ჯორ-ცხენასა და ყოველ-გვარ ცხენს ულაყს ეძახიან.
7) დეკანოზი—უფროსი კაცი, ხატის მოსამსახურე.
8) ხევის-ბერი—ესეც ხატის მსახური.
9) დასტური—ხატის მამულის მომვლელი და ლუდის მომხარშავი.
10) დიაცი—დედაკაცი.
11) თათი—სხვილი დაზლის ყელიანი წინდები.
12) დროშა—ბაირაღი.

თავის შვილებს ფრანგულს მაინც ასწავლიანო, რომ ამ ენის ცოდნით განათლებულებთან მარაქაში გაერიონო. კორრესპონდენტს თეირანში ერთი მოლა უნახავს, რომელიც შიშისა და კრძალვისაგან მალულად სწავლობს თურმე ერთის ევროპიელისაგან ფრანგულს ენას, და ერთმა ფრანგმა მასწავლებელმა დამარწმუნაო, რომ ამ ქამად ფრანგულს ვასწავლი პატარა ქალს ერთის დიდის კაცისას, რომელსაც დიდის ხარისხის ადგილი უჭირავს სახელმწიფოშიო.

არამც თუ შინაგანად კეთდება თურმე სპარსეთის ყოფა-ცხოვრება, გარეგანს ცხოვრებასაც დაეტყო, ამბობს კორრესპონდენტი: ახალის მოძრაობის ელფერიო. წინად ძალიან სასტიკად სდევნიდნენ ერთის ჩვეულების დარღვევას, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ თუ ქუჩაში ვისმეს შაჰის ცოლები შეხვდებოდა, მაშინვე უნდა გაქცეულიყო და ან სახლსა, ან სხვის ეზოში, ან ქუჩის ყურეში სადმე უნდა მიმალულიყო, რომ არამც და არამც თვალი არ მიეგარებინა. ეხლა ეს ჩვეულება გააუქმესო. შაჰის ცოლები ეხლა თავისუფლად სეირნობენ ეტლებით ქალაქში და თუმცა ისევ ჩადრებსა ჰხმარობენო, მაგრამ აღარც ის კრძალვაა, აღარც ის შიში, რომლის გამოც ყოველი მათი შემხვედრელი უნდა გაქცეულიყო და სადმე მიმალულიყო. ეხლა შაჰი რომ ევროპიდამ დაბრუნდა და ამისათვის დიდის ყოფითა და ამბით მისაგებებელი პროცესია გაჰმართეს, სხვებთა შორის პროცესიაში შაჰის ცოლებიც იყვნენო.

ყოველს ამას ისიც დაურთევით, რომ თითონ ეხლანდელი ხელმწიფე სპარსეთისა მომხრეა ცოტად თუ ბევრად ამ ახალის მოძრაობისა და იქნება თვით ამ მოძრაობის მიზეზიც თითონ იგივე იყოს, და მაშინ ცხადად დასაჯერია, რომ სპარსეთი თავის ახალის ბედის განთიადის ხანაშია.

რაც შეეხება სპარსეთის ეკონომიურს ვითარებას, ამ მხრით იგი ვერ იტყვის ჯერ, რომ ჩემით ვმოქმედობ და ჩემით გზა გამაქვსო. უწესოება, თვით-ნებობა მოხელეობისა, დაუდგრომელობა განონებისა, ძლიერის წინ უენობა და უსარჩლობა უღონოსი, რა თქმა უნდა, ძლიერ აბრკოლებს ამ მხრით წარმატებას. კორრესპონდენტი ამბობს, რომ რაკი იქაურნი მკვიდრნი დარწმუნებულნი არ არიან, რომ ჩემი ქონება ჩემია და არა ჩემზე ძლიერისა და გავლენიანისაო, შიშით არამც თუ ამოქმედებენ ამ ქონებას, ჰმალვენ კიდეც და არ აჩენენო. მე ერთი მდიდარი სოვდაგარი ვიციო, ამბობს კორრესპონდენტი: რომელსაც დიდი შეძლება აქვს, მაგრამ დამალული აქვსო და თითონაც თითქმის ძონძებით დაიარება, რომ არა შემამჩნიონ-რა და არ წამართვონო. ამ ყოფაში ძნელია, ძნელი-კი არა, შეუძლებელია რაიმე ეკონომიური წარმატება. ეს უცვნიათ და უგრძვნიათ სპარსეთში და დღეს ამაზედ თვალ-ახილულ შაჰს მოუწადინებია ამ მხრით როგორმე გამოაკეთოს საქმე.

თეირანიდამ ატყობინებენ გაზეთს „Neue Freie Presse“-ს, რომ სპარსეთში დადგა ხანა დიდის რეფორმებისაო. უკანასკნელად შაჰის ევროპაში ყოფნამ მოიტანა ეს ქვეყნის სასარგებლო ნაყოფი თურმე. ინგლისის გაზეთს «Times» კიდევ სწერენ სტამბოლიდამ, ნასრ-ედდინ შაჰს უბძანებია თავის მინისტრებისათვის შეადგინონ კომისია სამინისტროებში მოსამსახურე კაცთაგან და შეისწავლონ კანონები საფრანგეთისა, ინგლისისა, გერმანიისა და ოსმალეთისა, რომ იქიდამ ამოიღონ ყოველივე ის, რაც გამოადგება სპარსეთს საკეთილოდ. თუ ამისათვის საჭირო იქნება, რომ ზოგიერთი ჩემი ნება-უფლება დავთმოო, უბრძანებაა შაჰს: მე უკან არ დავდგებიო და დავთმობო, ოღონდ ამით ჩემს ქვეყანას სიკეთე და ბედნიერება მიენიჭოსო.

ჩვენა გვგონია, რომ ამ დიდს განზრახვას ნასრ-ედდინ-შაჰისას არა რა დაუშლის განხორციელდეს. ჩვენ რაც შეგვეძლო გაზეთის მოკლე წერილით, ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს, რომ თვით სპარსეთის საზოგადოებას საკმაოდ ონე აქვს მხარი მისცეს განზრახულს რეფორმებს. ნასრ-ედდინ შაჰი ბევრს მუშველს იპოვის თავის ქვეყნის განათლებულ ახალ-გაზდობაში, რომ ეს თავისი დიდი და სახელ-გასათქმელი განზრახვა საქმედ გადააქციოს. რამდენად მომწიფებულია ეს საქმე, იქიდამაც სჩანს, რომ ამას არ უაროებენ თვით სასულიერო წოდების კაცნი, რომელნიც ამისთანაებში ყველაზე ურჩნი, კერპნი დამოურჯულებელნი არიან სპარსეთში. მაგალითებრ, კორრესპონდენტი მოგვითხრობს, რომ ერთს ძალიან სახელ-განთქმულს მოლას თეირანში ჰკითხესო: განა შესაწყნარია შარიატი გაუქმდეს და ურჯულოთა კანონები შემოვიდესო. მოლას უპასუხნია, რომ მე მაგისი წინააღმდეგი არა ვარო, თუ თითონ შაჰი ფეშქაშების აღებას აღარ იკადრებს, ფეშქაშების აღების ნებას არ მისცემს თავის მოხელეებს, ჯამაგირებს შეუხუთავად და თავის დროზე დაურიგებს მოხელეებს და მხედრობას და გააუქმებს ერის გამათახსირებელს იჯარით ძლევას თანამდებობისაო.

აი სადამდე გაღვიძებულია დღეს სპარსეთი მისაღებად ყოველის ახალის კეთილისა, რომ თვით მოლებიც-კი ჰღაღადებენ ამასა. მართალია, იქნება ეს კორრესპონდენტისაგან ნაჩვენები მაგალითი ერთი იყოს, ან ორი, მაგრამ რაკი ამას ამბობს რეფორმების თაობაზედ სპარსეთის სასულიერო კაცი, სჩანს თვით ხალხსა და ქვეყანაში ეს წყურვილი განახლებისა და რეფორმებისა კარგა ფეხ-მოკიდებულია.

## ახალი ამბავი

*** „Новое Обозрѣніе“-საგან გამოცხადებული, ვითომც ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკს ფულით შეწეობა დაუნიშნავს ბ-ნ წინამძღვარიშვილისათვისაო, რომელსაც ეხლახან სოფელში სახლები დაეწვა, მართალი არ გამოდგა, რადგანაც ბანკში ამ საგანზე არავითარი სჯა არა ჰქონიათ.

*** 18 დეკემბერს საბჭოს კრებაზე სხვათა შორის განხილული იყო წინადადება ხმ. თავ. მიქელაძისა, რომ ცოტა გვიან შეჩერდეს ხოლმე მოძრაობა ვაგონებისა ცხენის რკინის გზაზეო. ხელ-შეკრულობის ძალით, უკეთუ „უსახელო საზოგადოება“ დაარღვევს პირობას იმის შესახებ, თუ როდის უნდა შეაჩეროს მოძრაობა ვაგონებისა, დღეში ოც თუმანს ჯარიმას იხდის სასარგებლოდ ქალაქისაო, სთქვა ხმოსანმა, და ამიტომ აუცილებლად საჭიროა ეს ჯარიმა გადაეახდევინოთ, თორემ ხსენებული საზოგადოება სრულებით არად ჩააგდებს ქალაქის თვით-მმართველობას და ჩვენი ხელ-შეკრულობა ცალიერი ქაღალდი გამოვა, ფიქციად დარჩება. რადგანაც „უსახელო საზოგადოებამ“ დაარღვია ეს მუხლი პირობისა 15 ოქტომბრიდამ, ამის გამო ხმოსანი ამბობდა, რომ ქალაქი წაედავოს თორმეტ ათასს მანათს ჯარიმას და ასეთის მოქმედებით დაანახვოს ამ საზოგადოებას, რომ ქალაქსაცა ჰყავს პატრონი, თავის ამორჩეული კაცები, რომელნიც ემსახურებიან იმის ინტერესებს და არავის არ მისცემენ ნებას, რომ ქალაქის უფლებანი დაარღვიოს დაუსჯელად, მით უმეტეს, რომ ვაგონების შეჩერება ღამის ათს საათზე, როგორც სამართლიანად სჩიოდა გაზეთი „ივერია“, ძალიან დიდს ნაკლს შეადგენს ქალაქის ღარიბ მცხოვრებთათვისაო. ჯარიმის გადახდასთან ერთად ქალაქმა უნდა დაავალოს „უსახელო საზოგადოებას“, რომ რადგან ეხლა ამიერ-კავკასიის რკინის გზა ღამით თერთმეტს საათზედ ჩამოდის ტფილისში, ამიტომ ერევნისა და მიხეილის ლიანდაგი ვოგზალამდე მოძრაობაში იყოს ღამის თორმეტ საათის ნახევრამდეო. ხმ. იოანნისიანმა ამაზედ შენიშნა, რომ ყორღანოვის ლიანდაგმა თითქმის სრულებით ჩამოაცალა მუშტარი და „უსახელო საზოგადოებაც“ მაგის გამო აღარ ატარებს ვაგონებს. უსამართლობა იქნება მაგოდენა ჯარიმის გადახდევინება, მით უმეტეს, რომ ჩვენ ჯერ არც-კი შევეიტყობინებია მისთვის დარღვევა ხელ შეკრულობისაო. ჩამოატარეს კენჭი და საბჭომ გადასწყვიტა მოელაპარაკოს „უსახელო საზოგადოებას“ და გამოუცხადოს, რომ თუ ამ მუხლს პირობისას კვლავაც დაარღვევთ, დღეში ოც თუმანს უეჭველად გადაგახდევინებთ ქალაქიო.

*** ტფილისის სადგურის უფროსად ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე დანიშნეს ბ-ნი ამჩეულოვი, რომელიც აქსტაფის სადგურის უფროსად იყო.

*** დიდი ზვავი ჩამოწოლილა კობსა და გუდაურს შუა კავკავის გზაზე. გზა მალე გაუწმენდიათ და მგზავრნი თავისუფლად გადადიან მთაზე მარხილებით.

*** თათრების სოფელს მუღანლოში უპოვნიათ ეილაც წიკლაური, რომელიც გორის მაზრიდამ არის თურმე. წიკლაური დიდხანს ყოფილა მუღანლოში, იქვე დაცოლ-შვილიანებულა და თითქმის სრულიად გათათრებულა. ეხლა წიკლაური მთაერობამ შეიპყრა და ისევ თავის ძველს ბინაზედ გაჰგზავნა.

---

ხთის კარს შაიტანიდი, ხთის კრით თუ რა იასაული, ხთის ბძანებით გამოვიდოდეს. გმირო კოპალეო! შენით სარდლობით ხორციელზედ ბრუნდებოდეს. ამათ ყუდროს ჯალაფობას, ნუ მაჰკერძიდი; მეეკერძებოდეს—ახდიდი, გადაუგდიდი. ავ საქმე მკაზედ კეთილად მოუქცივიდი; დაწუხებულს უშველიდი; შენთ ზღვენთა და ულუფად მეემატების. თქვენ თქვენის მეხვეწურისა, ამათ ჯალაფობისა, კაცისა, საქონლისა, მანდილოსნისა მეშველიმც იქნები [13])“.

ამ ლოცვის დროს ხალხში ჩუმი ხმაურობა გაისმის. ყველა თავ-თავისთვის ეხვეწება კოპალას. პირველ ლოცვის დამთავრების შემდეგ დეკანოზი შეისვენებს, ხალხი შეიქმს ჟრიამულს, ერთმანეთში ლაპარაკს: დაისვენა დეკანოზმა და დაიძახა. „სახარება ვიკითხათ მარკოზის თავითაო“. ხალხმა სული გამელა.

აქ დეკანოზი დაიწყობს სხაპა-სხუპით მეორე ლოცვას. ეს ლოცვა სრულიად უაზროდ არის სალმრთო წერილის სიტყვებისაგან შედგენილი. მერე ისეთის სიჩქარით კითხულობს დავითნის კილოზედ, აზრიც რომ იყოს, კაცი ვერაფერს გაარჩევს. რადგანაც ეს ლოცვა ძლიერ გრძელია და აზრმოკლებული, მოვიყვან ზოგიერთ ადგილებს!

. . . «ზე ღმერთო, რომელიც გარდამხდა მარიამის შაბათსაო. მარიამ მაგდანელია, იესო კოლოზმანელი. ვინ იყვენით ნაზლო ჯვართა მცემართანი. წავიდეს და მოახსენეს: ქრისტემ მისცა მოწაფეთა. ეგენი შეშინებულან, ეგენი შეკვირებულან; იტყვიან გალილიასა ესე შენა ღქენ უფალო ცხოვრება შურისა. პოვლე მოვიდოდა და მოკვდა. ას თორმეტი მოციქული; ხოლო ღმერთსა მადლი სთხოვეს.

„გინდა თუ ლოდი, გინდა თუ ეს ლოდი, ვინ გადააგორა; კარი მათი ვინ გაალა. შიგ ფხვენი შეეშინა. ვაი დედათა მგლოვიარეთა; იხარებენ. პირველი დიდება აღდგომასა უფლისასა, რომელი იწვა და ეძინა. უთხრა ქრისტემ მოციქულთა: მაცხო ადგა, რადლა გძინავს?.. „ჩამოდგომილა უფალი, სამოთხეს დამშვენებულა; ქალალდობენ ანგელოზები; ბერი და ლედელი გალობსა...

„დაღსრულდა წირვა ქამისა ძმისა უფლისა; მთავრობა ეპისკოპოზისა, სანამდე ვიყვენეთ, სანამდე ვიდგთ, სანამდე მსახური ვართ უფლისანი, მაიტანიდი სასმელი სახელისა ცხოვრებულზედ. რაც უნდა ცუდათ შრომა იყოს ჩვენი, შაგვინდევ მამაო, შაგვინდე ძეო და შაგვინდევ ჯვარო წმინდაო, მკითხავო საიდუმლოსაო, ბეჭედო უკვდავებისაო. მე ვიყავ მეარობითა. შენა ღქენ იოანე ოქროპირისაო. რქასა გაფიცებ მთავრისასა, პწყინვალებას ანგელოზისასა. დიდება ღმერთს“.

ამ ლოცვის შემდეგ დეკანოზი დაუძახებს ხალხს:

— ვისა გყავთო საკლავნიო, შესაწირავნიო, მაიყვანიდითავ და შესწირავდით კოპალა ათენგისასაო. ხევსურები წააყენებენ კურატებს და მარილს წარადგენენ. აქ საერთო ლოცვას წაუკითხავს კიდევ დეკანოზი.

„ქრისტე უფალო! აკურთხე სამართალი ღთისაო. აწ და მარადი უკუნის-უკუნამდე შაგვიწყალენ ჩვენ ყოველნი. სამებაო წმინდაო! გვაცხონე და გვაკურთხე. ურჯულოებაცა ჩვენო, ვეხვეწოთ მამასა და მოწყალესა მამაო და ღმერთო ჩვენო! რომინი ხარ ცათა შინა; აკრე ქოყანათა შიგა; პური შენი არსობისა, უფალო! აკურთხნე თესლი ესე, უფალო! აკურთხენ მარილი ესე. რომენი მონანი, ყრმანი სჰამენ და არა სჰამენ, ხორცსა მისივითა არ დასთხევენ, სისხლივითა არც დასთხევენ. შაიწირე შეწირულნი სახელითა ღთისათა, ხელითა დეკანოზისათა. საკლავის პატრონო! მოგცასთავ ამ წმინდა კოპალამ წყალობაო“.

გაიძრო დეკანოზმა გააფთრებული ხანჯალი და თვალის დახამხამებაზედ აყრევინებს თავებს: ცხვრებს, დეკეულებს, მოზვრებს და სხ. დატრიალდენენ ხევის-ბერები და აგროვებენ მხარბეჭსა და ტყავსა. ტყავს და ხან ბეჭსაც აქ მყოფ მღვდელს აწოდებენ, დანარჩენს ხატის მსახურებისთვის ინახავენ. ათენგობა დღეს დაიკელის დაახლოვებით ორმოციდგან ორას საკლავამდე. რაც ვერცხლი და სპილენძი შემოვა ამ დღეს, ის ხატის კუთვნილებაა.

მწვანე მინდორზედ თემ-თემად გაშალეს სუფრები. დატრიალდა ბოლი მთა და მინდორში; შემოდგეს კურატის ხორცი; შეაშიშხინეს სუკის მწვადები; გააქვს ჯახა-ჯუხი ლუდით სავსე ყანწებსა და ჯამებს; აქვე შენიშნავთ თემში უმცროსს ხევსურს, დაყრდომილს ცალ-მუხლზედ ხელში ფანდურით. ეს ხევსური უკრავს ფანდურს და დასძახის: „გაუმარჯოს ჩვენს მასპინძლებს, გეიდღეგრძელოსავ დეკანოზი“. მეორე თემში კიდეც გაუჭრია ლუდსა და არაყს. გაუწკეპია ხევსურს ულვაშები, გამოჭიმულა წელში, დაუშუშრობს ცქვიტად და კოხტად ატრიალებს მარცხენა ხელში თავის განუშორებელს ფარს. მესამე სუფრაზედ, ახალის კედარის პატრონებს, მიუწვევიათ დეკანოზი, რომელიც კითხულობს შემდეგ ლოცვას:

«მეღამის-თევნო! თქვენის სახლის აშენებითაო, თქვენის დღეგრძელობითაო, კარი მყოფითაო, ემა ანგელოზებისა დიდებითად მიცემიდა, სააქაოს ნათქვამი საიქიოს მიდიოესავ და მკვდარსა შანდოპა მიუვიდოდესაო. რა ხელ ჩვენ ხელთსავ, გარიგებული ეს ლუდიანი თასები, გარიგებული სუფრაი, ეგრემცა სულსა თქვენისა მკვდრისამც მეიხმარებისავ, შაუნდნეს, მაიხმაროსავ. ღმერთმა რა ზნე თქვენ გექმერებისთავ, ცოცხლებ გადღეგრძელოსთავ, სხვა მარხე ნუღარ გაჩვენოსთავ“.

აქ დეკანოზმა დაამწყალობლა და გასწია სხვა თემის პატივის-საცემლად. დაუზარელმა სულის მამამ გაისწორა გულზედ ჩამოგდებული ვერცხლის ჯვარი, თემი ფეხზედ წამოუდგა და პატივისცემით მიიწვიეს სუფრის საკურთხებლად. რადგანაც აქ მყოფთ ახალი მკვდარი არა ჰყავდათ, დეკანოზმა სხვა ნაირი სიტყვებით დაიწყო დამწყალობლება:

„დიდება და გამარჯვება ძალ-ღთისას, სამართალს კვირიაესას [14]); ძალი ღთისა გწყალობდეთავ და სამართალი კვირიაესა. ამ ხატის მლოცავთ, ქუდოსან-მანდილოსანთა, პურს მოგიმატასთ, წულს [15]) მოგიმატასთ; კაცსა, საქონსა დაგვეშველასთ, დაგიფარასთაო. კვლავ კეთილის გუ-

---

13) ეს ლოცვა სიტყვა-სიტყვით ჩაიწერინა ხევის-ბერმა მოსე ხითარაშვილს.

14) კვირია—ხატია.

15) წული—შვილი.

*** გუშინ, 19 დეკემბერს, სასახლის ქუჩის ქიმში ვიღაც პოლიციელი № 71 გამეტებით სცემდა ერთს კურტნიან რაჭველს მუშას. პოლიციელმა აღარც იმის ამხანაგები გაუშვა ბულვარზედ და ორიოდე ქიმუნჯი იმათაც წაჰკრა. ვიდრე უცხო ხალხმა ტუქსვა არ დაუწყო პოლიციელს, მინამ წესიერების დამცველმა ხელი არ აიღო ბეჩავ მეკურტნე მუშებისაგან.

*** ქარელში ამ რამდენისამე დღის წინად კინაღამ დიდი უბედურება არ დატრიალებულა იმით, რომ სალამოს მატარებელი შეცდომით ისეთს გზაზე გაუყენებიათ, რომელზედაც სხვა მატარებელი მდგარა იმ დროს. თუ არ მატარებლის გამგებელი, რომელიც დროზედ მიმხვდარა და უკან გაუტრიალებია ვაგონები, დიდი უბედურება არ ასცილდებოდა იმოდენა ხალხსაო.

*** ჩვენ მივიღეთ მე-10—11 წიგნი კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ჟურნალისა, რომელშიაც ამ ხანად დაბეჭდილია: რა ღონისძიებანი იქმნა მოღებული კავკასიის გამოფენის გასამართავად, ქრ. ეერმიშევისა; მონაწილეობა სტავროპოლის გუბერნიისა კავკასიის გამოფენაში, ან. თ—ისა; წამლობა ვაზისა გრაფ შერემეტიევის ვენახში კახეთისკენ, პ. ზეიფერტისა; მეფუტკრეობის განყოფილება კავკასიის გამოფენაზე 1889 წ., ან. თვალჭრელიძისა; მოწერილი ამბავი საინგილოდამ, მ. ჯანაშვილისა; ანგარიში ტფილისის საბაღოსნო სკოლისა და სამეურნეო საზოგადოების მოქმედებისა 1889 წ. და შემდეგი გოშეს წერილისა: სათეორიო და საპრაქტიკო სახელმძღვანელო ხეხილის მყნობისა, მოვლა-დარგვისა და გაშენებისათვის.

*** სხვა-და-სხვა ჰირნახული გაუტანიათ ფოთიდამ წელს 3.692,076 ფ.; შარშანაც თითქმის ამდენივე იქმნა გატანილი, ხოლო 1887 წელს გაიტანეს 5.607,100 ფუთი.

*** წელს 1 ნოემბრამდე გაუტანიათ ბაქოდამ რუსეთში კასპიის ზღვით 23.820,900 ფუთი ნავთი, რკინის გზით—30.240,900 ფუთი. აქედამ საზღვარ-გარედ გაუტანიათ 28.000,000 ფუთი („ტფ. ფურც.“)

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ახალ-სენაკი, 13 დეკემბერი. დადგა თუ არა დეკემბერი, აქაც მშვენიერი ამინდი დაიჭირა. ამ ამინდს თან მოჰყვა აღმოსავლეთის საშინელი ღონიერი ქარი, რომელმაც მიანგრ-მოანგრია ბევრგან სახლის სახურავები და რომლის შიშითაც ბუხარში ხეირიანი ცეცხლი ვეღარ დაგვენთია. ამ ჟამად-კი ქარი ჩადგა, მაგრამ ცა მოღრუბლა და, ღმერთმან იცის, რას გვიქადის. ოქტომბრის თვეის დამლევიდამ ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებამდე ბუნება საშინლად ჰინჰკლიანობდა: თოვლ-ჭყაპი, წვიმა, საშინელი ქარ-ბუქი ერთმანეთში იყო არეული, გზები ერთობ ატალახიანდა და ზოგან-კი ტლაპო-ტალახის მორევები იდგა. ასე და ამ გვარად ყველას გული დაგვიღონდა-შეგვიწუხდა. ვიცოდით, რომ ასე უდროოდ ზამთრის სტუმრობა ხუმრობა არ იყო და ყველანი შევუდექით სამზადისს მოსალოდნელ სასტიკ ზამთრისთვის. მაგრამ დადგა დეკემბერი, ეს პირველი თვე ზამთრისა, და სულ სხვა ნაირად იცვალა ბუნებამ ფერი: მზემ თავისი გამაცოცხლებელი სხივები საკმაოდ მოჰფინა ქვეყანას და შეკუმშული, დაღონებული გული ადამიანისა ისევ გაიშალა და გამხიარულდა.

აქაც, როგორც ბევრგან სხვაგანაც, საშინლად გავრცელებულია ერთ ნაირი ავადმყოფობა. ავადმყოფს აციებაცხელებს, სასტიკად ახველებს, თავი, შუბლი და თვალები სტკივა, ყელში უჭერს და წელი სტკივა. ეს ავადმყოფობა ოთხ-ხუთ დღეში ნელდება და ჰქრება. ძნელად შეხვდებით ისეთს ოჯახს, სადაც ორი ან სამი ავადმყოფი არ იწვეს ამ ნაირის ავადმყოფობით, მაგრამ ბ-ნი მაზრის ექიმი გ. კახიანი დაუზარებლად და უსასყიდლოდ ყველგან და ყველას აძლევს შესაფერს დარიგებას და წამლობას ამ სენისას და კიდევ ამ სენით ჯერ-ჯერობით არავინ მომკვდარა, რისთვისაც ბ-ნი ექიმი მადლობისა და პატივის-ცემის ღირსია. ეს ავადმყოფობა ეგრედ წოდებული „ინფლუენცია“ უნდა იყოს, თუ არა ვცდებით.

წელს სიმინდის მოსავალი, ეს ერთად-ერთი წყარო ჩვენის ხალხის კეთილდღეობისა, არამც თუ აქ, არამედ მთელს სამეგრელოს ბევრ ადგილებში შარშანდელზე შესამჩნევად ნაკლები მოვიდა. ამ გარემოებას თუ ისიც დაერთო ზედ, რომ სიმინდის ფასი შარშანდელივით ნაკლები იქმნა, მაშინ ხომ ბევრს აუტირდება ცოლი და შვილი... წელს ხომ ყოველგან უფულობასა და გაღატაკებას ჩიოდნენ, და მომავალ წელსაც თუ ასე ნაკლები ექმნა სიმინდს ფასი, სწორედ რომ გაუჭირდება ჩვენს ხალხს ცხოვრება. ღვინო-კი იზაბელასი იმდენი მოვიდა, რომ ზოგმა შესანახავად სამყოფი ჭურიც ვერ იშოვნა, მაგრამ იზაბელა ღვინოს მოსვლა მაინცა და მაინც დიდს ბედნიერებას არ შეადგენს, რადგანაც ეს ღვინო ძალიან მდარე თვისებისა დგება ჩვენში, ასე რომ პატივსაცემ სტუმარს ამ ღვინოს ვერ მიართმევენ, და თუ არ ოჯახის სახმარებლად, ძნელად თუ გაიყიდება სადმე.

ქურდობა-ავაზაკობამ, რომელიც ამ ათ-თორმეტის წლის წინად სამეგრელოში ისე ძრიელ იყო გავრცელებული, ამ ხანებში შესამჩნევად იკლო. იკლო-კი არა, თითქოს ძირიანად აღმოიფხვრა. აგერ რამდენიმე ხანია და არამც თუ აქ, მთელს სამეგრელოში შესამჩნევი ქურდობა და ავკაცობა აღარა მომხდარა-რა. სჩანს, რომ უფალმა გადმოგვხედა მოწყალების თვალით, სჩანს, რომ აქაურ მთავრობის მეცადინეობას ამ ზემოხსენებულ ერის კეთილდღეობისა და ყოველისავე ღირსების დამამხობ ბოროტმოქმედების მოსპობისას უნაყოფოდ არ ჩაუვლია, ასე რომ დღეს სამეგრელოში თითქმის ყველას კარგად ესმის, რომ ქურდობა-ავაზაკობა ფრიად სამარცხვინო საქმეა და არა სასახელო და თავ-მოსაწონი, როგორც ჰფიქრობდნენ ამ თუთხმეტ-თექვსმეტ წლის წინად. დღეს სრულიად უშიშრად შეგვიძლიან მთელი სამეგრელო მოვიაროთ მარტოდ-მარტო და ისიც უიარაღოდაც, როდესაც ამ გვარი სიარული გურიაში და ბევრგან საქართველოს სხვა კუთხეში ძნელი გასაბედია და საშიშარიცა.

ეგონებთ მეტი არ იქნება, ცოტა რამ აქაურ ვაჭრებზედაც ვსთქვათ რამე. ამათი თავში საცემი და სავალალო საქმე კიდევ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის საქმე გახლავთ, რომელსაც კენჭის ყრით „დამკვიდრება“ აქ ერგო. ეს აზრი დასამტკიცებლად წარდგენილია, სადაც ჯერ არს, მაგრამ ამათ ძილს უფრთხობს და აწუხებს ის გარემოება, რომ ვითამ მარტვილელთ მიეცეთ «დანოსი», კენჭის ყრა არ იყო ჯეროვანი და კანონიერიო. აი ეს აწუხებს და ანაცრებს აქაურებს, რომლებიც დღითი დღე მოელიან სასწავლებლის აქ დამტკიცებას. ვაჭრობა-კი ძალიან ნაკლები აქვთ. ან კი საიდამ ექნებათ: ბევრი იყო, თუ ცოტა, სოფლებიდამ ჰქონდათ და ეხლა როცა სოფლელთ უფულობა აწუხებთ, რასაკვირველია, ამათაც დაეტყოთ. გარდა ამისა, აქ, ამ ხანებში ურიებმა დაიწყეს ვაჭრობა, რომლებსაც მთელის სოფლის მუშტარი ერთობ მიაწყდა. ჩვენიანებიკი გულ-ხელ დაკრეფილნი შესცქერიან, იმათის ჯავრით ყელში სისხლი მოსდით, მაგრამ რაღას გააწყობენ: ძალად ხომ ვერ შეიყვანენ მუშტარს და ნებით-კი ისინი აღარ მიდიან. რომ ჰკითხოთ: რატომ ჩვენიანებთან აღარ ვაჭრობთო? აი, რას გიპასუხებენ: „ბატონო, ჩვენიანებთან ყველაფერი მამასისხლადაა, ერთს ორად და სამად აღარ სჯერდებიან და ისინი-კი იაფად ჰყიდიანო. აი, ამ გვარი პასუხი აკერია პირზე ყველა სოფლელ მუშტარს და ის კი ავიწყდება, რომ როცა ურიასაგან ერთს რასმე იაფად ჰყიდულობს, მეორეს-კი მამასისხლად, ასე რომ ერთ საქონელში ურია თითქმის აგებს და მეორე-კი ერთს ოთხად და ხუთად იგებს. უმეცარს მუშტარს-კი ჰგონია, რომ რაკი ერთი იაფად ვიყიდე, მეორეც ისე იქმნებაო...

აქაც გათავდა კენჭის ყრა ჯარში გასაწვევ ყმაწვილ-კაცთა, რომლებსაც არავითარი დარდი და წუხილი არ ეტყობოდათ. პირ-იქით, გულადად და მხიარულად იყვნენ და თამამად იღებდნენ უჯრიდამ კენჭს. წასვლამდე სულ ცეკვა-მღერაში ატარებდნენ დროს და თითქმის ყველანი დარწმუნდნენ, რომ თუ არ კენჭის ყრით, სხვაფრივ იმათი განთავისუფლება შეუძლებელიდა იყო. ხშირად გაიმღეროდნენ: „მარტო ბედზეა ჩვენი საქმე“. სჩანს ზოგიერთ მაწანწალა გაიძვერასა წელს ძველებურად ვერ ჩაულბიათ ხახა.

დასასრულ, ისიც არ შემიძლიან არ მოვიხსენიო იმის საყურადღებოდ, ვისიც ჯერ არს, რომ აქ, დ. ახალ-სენაკშიაც, ამოუყვია თავი ერთს ტუჩ-ცმაცუნა მკითხავს, რომელიც აგერ თითქმის წელიწადია, რაც აქაურ უმეცარ ხალხს ჰფცქვნის და ჰყვლეფავს თავის მკითხაობით და წინასწარმეტყველობით. მე თითონ ამ სტრიქონების დამწერმა მოვასწარი ამ ვაჟბატონს ერთ აქაურ მცხოვრების სახლში მკითხაობის დროს რომ ჰნახა, უცბად შეჩერდა, მაგრამ სხვებმა გაკვირვებულმა ამ ტუჩ-ცმაცუნას გულთმისნობით, როცა მთხოვეს, შენც აკითხვინეო, მეც ძალა-უნებურად დავეთანხმე, რომ მეჩვენებინა იმათთვის, მკითხავმა არც ერთმა არაფერი იცის-რა-მეთქი. უთხარი მეც მიკითხე მეთქი. იმან ლობიო დაჰყარა და სთქვა: შენზე არაფერი მოდისო და მერე ააცმაცუნა ტუჩები, ალაპარაკდა უთავ-ბოლოდ და მითხრა: მამა აღარა გყავსო (სრულიად ჯანმრთე-

---

ლით მოგიყვანასთავ ხატმა თავის კარზედაო. დიდება და გამარჯვება ამ კოპალის ჯვარსაო. რომენიც ამის ნათავარზედ დიდდა დახსენდაო, იმის წყალობა თქვენ გქონდეს თავ, მეღამის თევნო, მამა-შვილებო, ძმანო! დიდება ახსენება, ღამის თევა; სიხარულათ გაგიხადოს რას წყალობას ეთხოვებით, ის წყალობა გიბოძოსთ, გიშველოსთ ლაღის მტრისად, მწარის სიკვდილისადაო. სამღვთოდ მაიხმაროსაო, თქვენი თავის სახსრად და სახოიშნელადაო.

ვილოცეო, კაითამ დაილოცე. ამ ხატს დიდებაო, თქვენ თავს წყალობაო- ვილოცეო, ღვთისამც პირითამც დაილოცებითავ. დასტურნი, მსახურნი, უფროსი, ღმერთმა სტუმარ გიცოცხლოსთავ; სოფლელებო! თქვენ თავ დაულოცასავ მასპინძელსა ღმერთმაო“.

დეკანოზმა მაურველებს დაუმწყალობლა სუფრა და დაბრუნდა სალუდისკენ, სადაც დასტურებს მოუმზადებიათ უხვად სასმელ-საჭმელი. დე კანოზთანვე სადილობენ: მღვდელი, დიაკვანი, ხევის-ბერები და დასტურები. ხატის მსახურებს მღვდელი უკურთხებს სუფრას და ესენიც შეუდგებიან სავსე ყანწების ტრიალს.

გადის ცოტა ხანიცა და ყოველ სუფრა სზედ ემატება სიმხიარულე.

მხოლოდ ერთი პატარა ოჯახი განაპირებულა. დამსხდარან მთის ძირზედ და ყველანი გაჩუმებულნი შეექცევიან. ამათში არ ისმის არც სიმღერა, არც ცეკვა-თამაში.

ვალდებულობისამებრ ესენიც მოსულან კოპალე ათენგის სალოცავად. არ ათხოვებენ ყურადღებას ლაქლანდარა ბიჭების სიმღერა-შუშპრობას. ერთმანეთს ებაასებიან გულ-ჩათხრობილნი და მოწყენილები. ვინ არის ეს ოჯახობა? ეს ოჯახობა დაზარალებულის ხევსურისაა. სულ ორი დღეა, რაც სახლის უფროსი გარდაეცვალათ. მიდიან ამ ოჯახთან ნათესავები, ნაცნობები და სამძიმარს ეუბნებიან: „ვერ გექნებ ჩემი თავიო, მანამდის ეგეთას განახავდითავ. დიდ-ბრალიაო, დიდ ღმერთის წყენაიაო, დიდ ცოდვა არისავ, რომ თქვენი გული დასწუხდებოდესავ. მამათქვენ ჩეეფარებოდესავ, ჩემ კვალი კაცი მზეზედ დაიარებოდესავ. ამ ხევსურეთ დააკლდაო, ლაშქარსაო, მდევარსაო, ბჭესაო, ხევისბერსაო, ჯვარსაო და ჯვარის კარსაო. დიდწილ ნაწილ დასცდაო, დიდ-წილ ყოფაიო. მანამდინ ცოცხალი გყვანდათავ მამა თქვენი, „მანამდინ დიდის კაიისა გყვანდათავ; მოკვდა და დიდს კაას გააყოლებთავ, მამანი საბატონონი დაიხარჯებითავ, დედანი სადედუფლონი; თქვენის თესლისაო, ჯილაგისაო, იმასამ დაულიოსავ ღმერთმა მე ჩემ თავადაო, ვისაც მამითქვენის სიკვდილი უხაროდესავ, თავის შინასავეთ არა სწყენოდესავ, თავის დედმამის სიკვდილივითაო. მამის სული ღმერთმა გიცხონოსთავ: თქვენ გული კარგით გაიკურნოსავ; ეს სტუმრები სალხინოდ, საქორწილოდ შაღმააბრუნოსავ; ღმერთმა თქვენ სახლშიო დანარჩენ ჯალაფთა ჯვარი დაგიწეროსთავ; სხვა მარხე ნულარა მოგცესთრაო“!

მგლოვიარეც არ დაუგვიანებს პასუხს და ეუბნება: „ღმერთმა თავიც ნუ აგატკიოსავ შენის ჯალაფობით. მოვრჩებითავ შიმშილსა და წყურვილსაო, ბეჩაობასაო. კვდარი ვართ, არას გარგივართა, ცოცხალი არას გამოგადგებითავ. მანამდინ ცოცხალი გვყვანდაო, ბეჩაობისთვის გვყვანდაო; მოკვდაო და მაისვენაო, ჩაიცილა შიმშილ-წყურვილი, ბეჩაობაო, შეგბრალდებითაო ბეჩაობითაო. ბრალი ისეთაისავ, რომ თქვენ უწინ დაგკლებიიათაო; თორემ ჩვენი სიკვდილი მოსალოცავეიაო, დასამალავეიაო; მზედ დაგვცდებისავ, კაც სწორიო, კაის მოკეთის თავიო. თქვენ რომ თავს დაიწყებთავ ჩვენის გულისთვინ, იმის ფასნი არც მკვდარნი ვართ, არც მთელნიო. წყენა ამიცდინოსავ ღმერთმა შენს თავსაო“.

მზემ გადიხარა. ლუდით გაქღენთილი ხალხიც წამოიშალა; მოედვნენ ისევ მთასა და ბარსა. შექნა ყოველის მხრით ფანდურების ფხაკა-ფხუკი, ერთმა თემმა „ბუზიკაც“ დაუკრა და ხევსურებმა ყურები აცქვიტეს; იგრიალეს და გაეშურნენ «ბუზიკის» დასანახად. მეორე მხარეს ორი მოსისხლე ხევსური შემდგარან ცალ-ცალ მუხლებზედ; მარცხენა ხელში უჭირავთ ფარები და მარჯვენაში ფრანგულები[16]). პირველი გაუქნევს ფრანგულს, მეორე მამაცად შეაშველებს ფარს და შორი-ახლო არ იკარებს სასისხლოდ შემოქნეულ ხმალს. ამასავე იმეორებს მოპირდაპირე, მაგრამ პირველსაც უჭირავს ფარი, ამანაც არ მიიკარა ფრანგული.

ეს ჩხუბი გაგრძელდება, სანამ ერთს მათგანს სისხლი გამოედინება. ხევსური თავის მოსისხლეს სასიკვდილოდ არ დასჭრის; საკმარისია დაუნახოს ცოტაოდენი სისხლი, რომ უთხრას: საკმარისია, ეხლა ავილე ჩემი ადრინდელი დაღვრილი სისხლიო. თუ მოხდა და სასიკვდილოდ დასჭრა ხევსურმა თავის მოპირდაპირე, იმას ფთხალს ეძახიან, ყველანი ზიზღით შეხედავენ, როგორც მშიშარა კაცს. ამ დღეობას ხშირად შეხვდებით თავ-გასისხლიანებულს ხევსურს. ესენი ნახერხალათი არიან დასერილები[17]) შულის დროს. ნახერხალა მარჯვენა ცერზედა აქვთ წამოცმული, რომელსაც ნახევარ გოჯამდე გალესილი კბილები აქვს. ჩხუბში ერთმანეთს უსვამენ თავზედ და გადმოსდით სისხლი.

გათავდა დღეობა. ყველა მიეშურება თავ-თავის სახლისაკენ. უკანასკნელად კიდევ შეეხვეწნენ კოპალა ათენგისას და მოასხდნენ ცხენებს. სტუმარმაც მადლობა უთხრა თავის მასპინძელს. „მამა-შვილებო და დედაშვილებო! ღმერთმა აგაშენოსთავ, ღმერთმა მშვიდობით შევინახოსთავ; ღმერთმა ლქნას თქვენის გულისაო; შავიწყალოსთაო ღმერთმამაც, კვირიამაცო; სახლის ყოფას მოგიმატოსთაო. კა თავ ნუ გამოგართესო, კარგ ყოფას ნუ მოგშალოსთავ. ხელ ხმალი ნურავისა ნუ მოგრიოსთავ; დავლათი ნუ გაგიტეხოსთავ; კაის მემდომეს, კაი მიგიცესთავ; მუხანათ კაც წაგიხდინოსთავ. ვიშველას გმირის კოპალეის ჯვარმაო; თქვენის ოჯახობის პატრონებსაო; ჯვარ დაგწერასთავ კაცსაო, დიაცსაო, ყმაწვილსაო, მეველე-მონადირესაო თქვენსასაო; საქონი გაგიმრავლოსთავ; გამარჯვება მოგცესთავ: მკაჩი, მთაჩი, ბარჩი კეთილად გამგზავროსთავ. ქუდოსან-მანდილოსნები გიცოცხლასთავ. ეს წულებ გაგიზარდასთავ; თქვენი გული ახაროსავ“...

დავით გორელი

ს. თიანეთი

[16]) ფრანგული—ხმალი.

[17]) შული—ჩხუბი.

ლად არის), ცოლიანი ხარო (არა ვარ) და სხვა და სხვა სიცრუე. მაშინ დარწმუნდნენ, რომ არაფერი ილოდა და სამაგიეროდ ერთის მანეთისა, რომელიც უნდა მიეცათ, ორიოდე პანჩური მიართვეს და გააბრძანეს.

მ. ლიფონავა.

# დეპეშა

18 დეკემბერი

პეტერბურგი. გუშინ შინაგან საქმეთა, საერო განათლებისა და ფინანსთა მინისტრის და სხვა მაღალ ხარისხოვან კაცთა თანადასწრებით დაიწყო გამოფენა საპროფესიო და სახელოსნო სკოლებისა. გამოფენაში 240 სკოლა იღებს მონაწილეობას, ხოლო გამოფენილია 2000-ზე მეტი საგანი,

„Гражданинъ“-ს გაუგონია, რომ მერმის რუსეთის ქარხნებში დაიწყებენ კეთებას ჰალაზიის თოფებისასაო.

იმავე გაზეთს გაუგონია, რომ სპარსეთში წავიდა პოლიაკოვის სარკინის გზო ფირმის წარმომადგენელი და უნდა პირობით შეეკრას სპარსეთის მთავრობას სპარსეთში რკინის გზის გაკეთების თაობაზედაო.

„Нов. Время“-ს სწერენ დეპეშით მაზენიდამ, რომ კარსის ზღვაზე წელს უფრო მეტი ხომალდები დადიოდნენ, ვიდრე შარშანაო. ზღვაში შევიდა და დაბრუნდა უკან კეთილად 17 ცეცხლის გემი, მათ შორის ინგლისის გემი „ლაბრადორი“, რომელმაც ენისეის შესართავამდე იარაო.

ბელგრადი. ის გარემოება, რომელიც შეეხებოდა პირობის ქაღალდის გაუქმებას ინგლის-ავსტრიის ბანკისას და რომელმაც ისეთი დიდი ალიაქოთი ასტეხა, იმითი გათავდა, რომ მშვიდობიანად მორიგდნენ სერბიის მთავრობა და ბანკი, რომელსაც განსაკუთრებული უფლება ჰქონდა მინიჭებული მარილის გასყიდვისა. ახალის მორიგებით მთავრობა აძლევს ბანკს 5.750,000 ფრანკს.

ლისაბონი. მკურნალებს ეფიქრებათ, რომ თვით დონ-პედროსაც არა აუტყდეს-რაო.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა ასწია დისკონტი 5-დამ 6%-მდე.

დეპუტატად ნამყოფმა კაპიტანმა ოშიმ, რომელიც მოწმად იყო მიწოდებული კომისიაში პარნელისა და გაზ. „Times“-ის საქმის გამო, უჩივლა თავის ცოლს, რომ მან დაარღვია ცოლ-ქმრობის კავშირი, დაარღვია პარნელთან ერთად, და ამიტომ განგვაქორწინეთო.

19 დეკემბერი

პეტერბურგი. ხმა დადის, რომ ბოტკინის კათედრას დაიჭერს მისი მოწაფე პროფესორი ჩუდნოვსკი.

ვენა. მინისტრ-პრეზიდენტმა გრაფმა ტააფემ მოუწოდა, გერმანელებისა და ჩეხელების დასთა მეთაურებს 4 იანვრისთვის სამინისტროს სადგომში. იქვე მოილაპარაკებენ მასზედ, თუ როგორ მორიგდნენ დასნი ურთიერთა შორის.

სოფია. ბოლგარიის გამგებელთ ხელი მოაწერეს დროებით სავაჭრო მორიგებაზე, რომელიც ორის წლის ვადით შეიკრა ინგლისთან.

რომი. დღევანდელ კონსისტორიაში პაპმა გამოაცხადა, რომ მრავალი პრელატი დაინიშნა რუსეთშიო.

ქაირი. ამბობენ, რომ ინგლისელებმა გადასწყვიტეს კვლავ დაიპყრან დონგოლა, რადგან შიშობენ, რომ იტალიელებმა მასოვას გამო ხელში არ ჩაიგდონ მთელი ვაჭრობა სუდანისაო.

პარიჟი. ობოკიდამ მოსული დეპეშა იუწყება, რომ ორი მისიონერი საფრანგეთისა მოკლულ იქმნენ ზეილისა და ხარარის გზაზე.

პეტერბურგის ბირჟა, 15 დეკემბ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 44 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 148¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 11 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 253½ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 229¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 97½ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | 97½ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 84¼ | — „ | — „ |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. 3½
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარ. 5 „
„ „ 2 „ 4 „
„ „ 3 „ 3½
ძვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა. . . . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . . . 4 „
მე-3 — . . . . . . „ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 “
ღორის ხორცი . . . . . „ “
„ 2 „ „ „ „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულ კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

## „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

მან. კაპ.

საყმაწვილო ამბები თ. ახათიანისა, ფასი . . . „ 10
სახალხო კალენდარი 1890 წ., ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული . . . . . . „ 10
საერთო კიდლის კალენდარი 1890 წ., ექ. ხელაძის გამოცემა . . . „ 25

## წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების
## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

მან. კაპ

გლეხის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა . . . . . „ 25
მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. . . . „ 60
თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: . . . . . 1 „
ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა . . . . . 1 „
მოკლე დარიგება ხვსილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ „ 20
ქართული თეატრი, ვ. გუნიასი . . . . . . „ 40
ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა. . . „ 15
პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა „ 10
გაყა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა . . „ 30
Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово“. . „ 50
გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა . . „ 20
ჩანგი, კრებულიელექსთა და სხვა . . . . . . „ 10
ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა. . . . . „
დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . „ 10
სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . 3 50
ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . ,, 15
საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . „ 45
თორნიკე ერისთავი აკაკისა. 1 „
საყმაწვილო ამბები . . . „ 40
ბამბა და მისი შემუშავება მ. ჯ—ლი. . . . . „ 15
დახასიათებანი თქმულნი თეოფრასტეს მიერ გადმოღებული ინ—კანისაგან . . . . . . „ 20

# ქალაქის გამგეობის განცხადება

ქალაქის საბჭოს გარდაწყვეტილებით, რომელიც შესდგა 23 ოქტომბერს 1889 წ. ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1 იანვრიდამ 1890 წ. გადასახადი დადებული „იზვოსჩიკებსა და მეპოვოსკეებზედ (извозный промыслъ) გაუქმებულ იქმნება და იმავე დღიდამ დაიწყება გამორთმევა გადასახადისა, ცხენებზედ დაწესებულისა, შემდეგის ახალის წესითა:

§ 1 უმაღლესად დამტკიცებულის 20 ოქტომბერს 1882 წ. და 4-ს თებერვალს 1888 წ. სახელმწიფო საბჭოს აზრის ძალითა და აგრეთვე ბ-ნ შინა-საქმეთა მინისტრის, 1889 წ. 29 იელისიდამ, № 5377-ს ნება-რთვითა, დაწესებულ იქმნა ქალაქ ტფილისში ქალაქის შემოსავლისათვის გადასახადი ცხენებზე ახალები. ამასთან ეს გადასახადი აიღება ყოველს ცხენზე, რომელიც-კი ეყოლებათ ქალაქის წრეში კერძო პირთა და დაწესებულებათა (საზოგადოებათა, ამხანაგობათა და კომპანიებსა), ხოლო ეს გადასახადი არ გამოერთმევათ იმ ცხენებზე, რომელნიც ეკუთვნიან: ა) იმ სახელმწიფო სამსახურში მყოფთ პირთა, რომელთაც არსებულის კანონებით მინიჭებული აქვთ ცხენების ყოლა იმდენი, რამდენიც კანონითვე განსაზღვრულია (ბძანება სამხედრო დაწესებულების მიმართ 23-ს აგვისტოს 1889 წ. № 200—„Кавказъ“, 1889 წ. № 242); ბ) უფროს კონსულებს, ვიცე-კონსულებს, კონსულების აგენტებს, რომელნიც ქვეშევრდომნი არიან იმ სახელმწიფოსი, რომლისაგანაც არიან დანიშნულნი, თუ ეს სახელმწიფო შეკრულია რუსეთთან ცალკე კონვენციითა შესახებ კონსულთა უფლებისა, ანუ თუ მის მიერ ამისთანა შეღავათი მინიჭებული აქვს რუსეთის კონსულებსაც, და გ) დროებით ქალაქში მოსულთა და მყოფთა (1 მუხლი 20 ოქტომბრის 1882 წ. კანონისა).

შენიშვნა. ცალკე გადაწყვეტილებამდე საკუთრივ ეკიპაჟები და სხვა სატარებელნი თავისუფალ არიან გადასახადისაგან.

§ 2, გადასახადის ქვემდებარე ცხენები სამ რიგად განიყოფებიან. პირველის რიგის ცხენებზე გამოერთმევათ 10 მანეთი, მეორის რიგისაზე—8 მანეთი და მესამე რიგისაზე—5 მანეთი.

პირველ რიგს ეკუთვნიან: ცხენები შინაური საეკიპაჟო, ბირჟის საფაეტონო (წყვილი თითო ფაეტონზე), ბირჟის სადროჟკო (ერთი თითო დროჟკაზე) და საფოსტო. მეორე რიგისას ეკუთვნიან: საპალნის ცხენები (ломовыя) (და ამათ შორის წყლის მზიდველნი ბოჭკითა). მესამე რიგს ეკუთვნიან ყველა სხვა ცხენები, ჯორების გამოუკლებლად (2 და 6 მუხ. 20 ოქტომბრის 1882 წ. კანონის ძალითა).

შენიშვნა ვისაც ცხენი ჰყავს და იმასთან სხვა-და-სხვა ღირსების ეკიპაჟი აქვს, მაგალითებრ, დროჟკა, პოვოზკა, ანუ ურნაგირი, მაშინ ცხენი იმისი უმაღლეს რიგის ცხენად ჩაითვლება გადასახადის გამოსაღებად.

§ 3, გადასახადი უნდა შეტანილ იქმნას ტფილისის საქალაქო გამგეობის (управа) კასსაში იანვრისა და თებერვლის განმავალობაში ყოველ წლივ თანხმად გადასახადის სიისა (окладной листъ), რომელიც დაურიგდებათ საქალაქო გამგეობისაგან უწინარეს იმ დროისა, ვიდრე დადგება ზემოხსენებული ვადა გადასახადის შეტანისა. ცხენების პატრონებს, რომელნიც თავის დროზე არ შეიტანენ შეხვედრილს გადასახადსა, ანუ იმდენს არ შეიტანენ, რამდენიც ცხენი ჰყავთ, გადახდებათ ჯარიმა ოც-და-ოთხი პროცენტი იმ ფულისა, რაც გადასახადს დაკლებულ იქნება, გარდა იმისა, რომ პოლიციის წესით გამოერთმევათ თვით გადასახადიცა. ეს ჯარიმაც შეირიცხება ქალაქის შემოსავალში (2 და 3 მუხ. 20 ოქტომბრის 1882 წ. კანონისა და საქალაქო წესდების 138-ს მუხ. ძალით).

§ 4, იგინი ვინც შეიძენენ ცხენებს შემდეგ გადასახადის სიების დარიგებისა, მოვალენი არიან აგრეთვე გადიხადონ დაწესებული გადასახადი: თუ ცხენი შეძენილია წლის პირველ ნახევარში, მთელის წლის გადასახადი და თუ წლის მეორე ნახევარშია შეძენილი, ნახევარი უნდა გადიხადოს წლის გადასახადისა. ამასთან გადასახადი უნდა შეტანილ იქმნას ან დანიშნულ ვადაზედ, თუ მის გასვლამდე ერთ თვეზე ნაკლები რჩება, ანუ წინააღმდეგ შემთხვევაში,—ერთის თვის განმავალობაში იმ დღიდგან, როცა ცხენი შეძენილ იქმნა (4 მუხლი 20 ოქტომბრის 1882 წ. კანონისა).

§ 5. ფულის მიღების ნიშნად საქალაქო გამგეობა (управа) მისცემს ცალკე კვიტანციას თვითეულ ცხენზე და ეს კვიტანცია შესაძლოა გადაცემულ იქმნას, ცხენთან ერთად, თუ ვინიცობაა ცხენი სხვის ხელში გადავიდა (5 მუხლი 20 ოქტომბრის 1882 წ. კანონისა).

§ 6. ვინც ცხენებს ინახავენ, მაგრამ მიღებული არა აქვთ სია გადასახადისა იმ წლის დამლევამდე, რომელიც წინ მიუძღვის იმ წელიწადს, რომლისათვისაც შეტანილ უნდა იქმნას გადასახადი, ანუ ვისაც ახლად შეუძენიათ ცხენები, მოვალენი არიან საქალაქო გამგეობას ყოველივე ეს აცნობონ; თუ არ აცნობეს, გამოერთმევათ მთელის იმ წლის გადასახადი, რომლის განმავალობაში ცხენები ჰყოლიათ, და ამ შემთხვევაში არავითარი ახალი ვადა არ მიეცემათ შეტანისათვის კუთვნილ გადასახადისა, რომელსაც ზედ დაემატება დაწესებული ჯარიმაც (2 მუხლი 20 ოქტომბრის 1882 წ. კანონისა).

§ 7. ბირჟისა და საპალნის იზვოშჩიკები მოვალენი არიან მუდამ იქონიონ თან საქალაქო გამგეობის კვიტანციები იმდენის ცხენისა, რამდენიც ჰყავთ იმის ნიშნად, რომ მათ მიერ გადასახადი გადახდილია, და პირველ მოთხოვნისათანავე უნდა წარუდგინონ საქალაქო საზოგადოებურ გამგეობის აგენტებსა და პოლიციის მოხელეებსა (20 ოქტომბრის 1882 წ. კანონის 2 მუხლის ძალით).

§ 8 ქალაქის საზოგადოებურ გამგეობის აგენტებს, თანასწორ პოლიციის მოხელეებისა, ნება ეძლევათ თავისუფლად შევიდნენ ყოველს ეზოსა და შენობაში, სადაც-კი ცხენებს ინახვენ ცხენების დასათვლელად. როგორც ქალაქის საზოგადოებურ გამგეობის აგენტების, ისეც პოლიციის მოხელეების მიერ წარმოდგენილ ცნობებისაგან შეივსებიან და შესწორდებიან წიგნები ცხენების სიებისა ან გამოშვებულნი ჩაიწერებიან, ან ახლად შეძენილნი, ან გამოირიცხებიან დაკლებულნი.

(3—2)

Доз. ценз. Тифлисъ 19-го Декабря, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи. пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.